დანართი

დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისა და გამოყენების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი გამომდინარეობს "დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის ფორმების, მათი შევსებისა და გაგზავნის, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 24 აგვისტოს №01-37/ნ - №173 ერთობლივი ბრძანებიდან (შემდგომში-№01-37/ნ - №173 ერთობლივი ბრძანება) და განსაზღვრავს დაბადების და გარდაცვალების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის (შემდგომში ელექტრონული სისტემის) ფუნქციონირებისა და გამოყენების წესებს და მხარეთა პასუხისმგებლობას სამუშაო პროცესში წარმოქმნილ სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ელექტრონული სისტემა - დაბადების და გარდაცვალების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა.
2. ელექტრონული სისტემის მფლობელი - პირი/ან ორგანიზაციული ერთეული, რომელსაც გააჩნია ინფორმაციის შემუშავების, განვითარების, მხარდაჭერის, გამოყენების და დაცვის დადასტურებული მართვის უფლება, რაიმე სახის საკუთრების უფლების გარეშე.
3. ელექტრონული სისტემის მომხმარებელი (მომხმარებელი) - პირი/ორგანიზაციული ერთეული, რომელსაც გააჩნია ელექტრონულ სისტემაზე ან მის ნაწილზე წვდომის უფლება.
4. კონფიდენციალობა - მახასიათებელი, რომლის თანახმად, ელექტრონული სისტემა ხელმისაწვდომია მხოლოდ განსაზღვრული ინდივიდების ან სუბიექტებისთვის.
5. სამინისტრო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

6. სააგენტო - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.
7. ცენტრი - სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრი .

მუხლი 3. ელექტრონული სისტემის მფლობელი

1. დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის მფლობელი არის ცენტრი, რომელიც ფლობს, ახორციელებს და მართავს მის მფლობელობაში არსებულ მონაცემთა ერთობლიობას, რომელიც მოიცავს ამ ბრძანების მიზნებისათვის დამუშავებული ინფორმაციისა და სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის ერთობლიობას.
2. ელექტრონული სისტემის გამართულ მუშაობას და საჭირო ინფრასტრუქტურული რესურსების გამოყოფას უზრუნველყოფს სამინისტრო.
3. ელექტრონული სისტემის მფლობელს და სისტემაში ჩართულ ყველა ერთეულს (სამინისტრო, ცენტრი, ცნობის შემვსები პირი, სააგენტო) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აქვთ პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლება და შესაბამისად, პასუხისმგებლები არიან ინფორმაციის კონფიდენციალობასა, მთლიანობასა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზეამ მიზნით, ცენტრი:

ა) განსაზღვრავს ინფორმაციის კრიტიკულობას, რის გათვალისწინებითაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, კონფიდენციალობის და მთლიანობის დაცვას;

ბ) ექსკლუზიურად განსაზღვრავს, მისცეს ან უარი უთხრას, შეუჩეროს ან გაუუქმოს წვდომა ელექტრონული სისტემის ნებისმიერ მონაწილეს, თუ არსებობს ფაქტი ან დადასტურებული ინფორმაცია, რომ ის არ იცავს კონფიდენციალობის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 4. ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება

1. სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ცენტრი, რომელიც თავისი უფლება მოვალეობების ფარგლებში ახორციელებს შედმეგ ქმედებებს:

ა) ახორციელებს მაკოორდინირებელ ფუნქციას, ცენტრს, სამინისტროს, სამედიცინო დაწესებულებებს და სააგენტოს შორის სისტემის გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

ბ) მონიტორინგს უწევს სამედიცინო დაწესებულებების მიერ დაბადების და გარდაცვალების შესახებ ელექტრონულ სისტემაში სამედიცინო ცნობების სწორად შევსებას, კანონით განსაზღვრული წესის და პირობების შესაბამისად.

გ) ელექტრონული სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში (კანონით დადგენილი ვადების და პირობების შესაბამისად) ინფორმაციას სისტემის გაუმართაობის შესახებ აწვდის სააგენტოს და ცნობის შემვსებ პირებს, რათა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტი კანონით განსაზღვრული ფორმით წარედგინოს სააგენტოს მატერიალური სახით. ელექტრონულ სისტემაში ხარვეზის აღმოფხვრის შემდგომ უზრუველყოფს (აცნობებს) მატერიალური დოკუმენტის ელექტრონულად რეგისტრაციას ცნობის შემვსები პირის მიერ და ინფორმაციის სააგენტოში ელექტრონულად გაგზავნას შესაბამისი აღნიშვნით "გაგზავნილია მატერიალური სახით" .

დ) მონიტორინგს უწევს სამედიცინო ცნობებში მონაცემების ცვლილებას/დაზუსტებას კანონით დადგენილი წესის შესაბამისად და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას სააგენტოსთვის დადგენილი წესით.

ე) კოორდინაციას ახდენს სააგენტოსთან, რათა ელექტრონული ფორმით იქნეს მიღებული (სააგენტოდან) ინფორმაცია იმ პირთა დაბადების და გარდაცვალების შესახებ, რომელთა რეგისტრაციის საფუძველს არ წარმოადგენს ელექტრონული სისტემის ფარგლებში შექმნილი სამედიცინო ცნობა (ოქმი, აქტი და სხვა). ანალოგიურად იქნეს მიღებული ინფორმაცია აქტის ჩანაწერის სრულად ბათილად ცნობის ან/და ცვლილების შემთხვევაში, რომელიც განხორციელდა სააგენტოს მიერ, კანონით დადგენილი წესის და ფორმის შესაბამისად.

ვ) კოორდინაციას ახდენს სამინისტროსთან საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დამატებითი ინფრასტრუქტურული რესურსის გამოყოფისათვის სისტემის გამართულად მუშაობისათვის.

ზ) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე განსაზღვრული პირობების მიხედვით, უზრუნველყოფს სააგენტოდან მასთან დაცული ელექტრონული მონაცემთა ბაზის ასლის ერთჯერადად მიღებას.

2. ცენტრი უზრუნველყოფს №01-37/ნ - №173 ერთობლივი ბრძანების მე-7 პუნქტით განსაზღვრული ბრძანების შესაბამისად ელექტრონულ სისტემაში კანონით განსაზღვრული მონაცემების განთავსებაზე პასუხისმგებელი ("სამედიცინო დაწესებულების" მიერ განსაზღვრული) პირების (დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტების) მომხმარებლად რეგისტრაციას.
3. ელექტრონული სისტემის ადმინისტრირებას ახორციელებს ცენტრის სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტი.